იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული გარდაბნის, საგარეჯოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან ტერიტორიის გაწმენდის და განაღმვის პროექტის დასრულების ცერემონია

2017 წლის 1-ელ ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის მიმდებარედ, ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გაიმართა „გარდაბნის, საგარეჯოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან ტერიტორიის გაწმენდის და განაღმვის პროექტის“ დასრულების ცერემონია. პროექტი განახორციელა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ჰალო ტრასტმა“, იაპონიის და აშშ-ს მთავრობების დაფინანსებით. ცერემონიას ესწრებოდნენ ბ-ნ ტადაჰარუ უეჰარა, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქ-ნ ელიზაბეთ რუდი, საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე, ბ-ნ გრიგოლ დალაქიშვილი, იმერეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე, ბ-ნ თენგიზ ბასილაძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ბ-ნ ირაკლი ჭითანავა, ჰალო ტრასტის საქართველოს პროგრამის მენეჯერი.

პროექტის ფარგლებში დაახლოებით 988,000 კვ. მეტრის ფართობი გაიწმინდა ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან და ნაღმებისგან თერჯოლის მინიციპალიტეტში, და დაახლოებით 12,170,000 კვ. მეტრის ფართობი გაიწმინდა ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გარდაბნისა და საგარეჯოს მინუციპალიტეტებში. ახლა ეს ტერიტორია უსაფრთხოა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ასევე ტურისტებისთვის. იაპონიის მტავრობის გრანტი ამ პროექტისთვის შეაგენდა 636,000 აშშ დოლარს.